უსმა/USMA-ს ორგანიზებით მწერალთა სახლში გაიმართა შეხვედრა/დისკუსია

2023 წ. 25 აპრილს უსმა/USMA-ს ორგანიზებითა და მწერალთა სახლის პარტნიორობით უსმა/USMA-ს შესაბამისი პროექტის („კულტურული უსაფრთხოება“) ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ცნობილ კინოდოკუმენტალისტთან, მიხეილ (მიშა) ბასილაძესთან. შეხვედრაზე მოხდა მიხეილ (მიშა) ბასილაძის ავტორობით (სცენარის ავტორი) რეპრესირებულ მწერლებთან დაკავშირებული დოკუმენტური ფილმის დემონსტრირება, რომელმაც დამსწრეთა მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა უსმა/USMA-ს თავმჯდომარემ, ბესიკ ობოლაძემ.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: მეცნიერთა კონგრესის სპიკერმა ერეკლე შონიამ, უსმა/USMA-ს პრეზიდიუმის წევრებმა: გოჩა ცოფურაშვილმა, მარინა ქურდაძემ.

დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ: მწერალი და პუბლიცისტი მაყვალა ბერიანიძე, მწერალი ქეთევან ტომარაძე, პროფესორი მირონ ფირცხალანი.

შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან (კსუ), რომლებიც უსმასა და კსუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად პრაქტიკას გადიან უსმა/USMA-ში.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობდა „საერთაშორისო კულტურის სივრცის" დამფუძნებელი მარიამ ლომთათიძე. ქალბატონი მარიამი შთამომავალია დიდი ქველმოქმედისა და იმ ეპოქაში მნიშვნელოვანი კომერსანტის, აკაკი ხოშტარიასი (დავით სარაჯიშვილის მიერ აგებული მწერალთა სახლის დღევანდელი შენობა აკაკი ხოშტარიას ძალისხმევით შეუნარჩუნდა ქართულ საზოგადოებას) და აგრძელებს დიდ ტრადიციას.

ღონისძიებაში მონაწილეობდა ასევე მაიკო მაჩაბელი - მწერალი, ხელოვნებათმცოდნე, მუსიკოსი... (მაიკო მაჩაბელი ცნობილი მთარგმნელის, მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის შთამომავალია).

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ უსაფრთხოების მკვლევარები: ივანე (ვანო) ჩოლოყაშვილი, გოგი ჯაბაური, გიორგი ასათიანი.

ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს მწერალთა სახლში ახლადგახსნილი რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმი.

შეხვედრის დასასრულს უსმა/USMA-ს თავმჯდომარემ ბესიკ ობოლაძემ ღონისძიების ორგანიზებაში გაწეული თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა მწერალთა სახლის ადმინისტრაციას და პერსონალურად მის დირექტორს, ქალბატონ ნატა ლომოურს.

Davit Sarajishvili